ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი N 14

ქალაქი ბათუმი

01 ივლისი, 2019 წელი (16 : 00 სთ)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ :

1. კახაბერ გუჩმანიძე - CENN - პროექტის - ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში (USAID / WMTR II) - რეგიონული კოორდინატორი აჭარაში;
2. მარიამ ბურკუნაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი ; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უპაულტეტის მესამე კურსის სტუდენტი;
3. მაყვალა კვირიკაძე - შპს ,,მაკო''-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე;
4. გურამ ფუტკარაძე - აჭარის ა/რ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი;
5. თამარ ხუხუნაიშვილი – მ. იაშვილის სახელობის ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრალური ჰოსპიტლის კლინიკური დირექტორი;
6. ზურაბ ჩიხლაძე - ბათუმის შოთა რუსთაველი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
7. ლაშა ნაკაშიძე - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში - UNDP – GEF - პროექტის ,,მწვანე ქალაქები მდგრადი ინტეგრირებული ტრანსპორტი ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის'' ხელმძღვანელი;

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი წინასწარ დაეგზავნათ ელ.ფოსტაზე, ასევე ინფორმაცია განთავსდა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ - გვერდზე.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 11 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 7 , არ ესწრებოდა 4 წევრი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან სხდომას ესწრებოდნენ :

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტოს მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი - აკაკი გვიანიძე, ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტოს წარმომადგენლები - სულხან მეფარიშვილი, გია გათენაძე და თეონა კეშელავა.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ :

თეონა დიასამიძე - დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი,,,თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი'', ნინო ჩახაიძე - CSI ბათუმი, ნათია იმნაიშვილი - გაზეთი „აჭარა და ადჟარია".

სხდომას ასევე ესწრებოდნენ გამარჯვებული პროექტების ავტორები.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის მე 10 პუნქტის თანახმად საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია რადგან მასში სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრი მონაწილეობდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა და უძღვებოდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - კახაბერ გუჩმანიძე.

სხდომას შემდგომი გაშუქების მიზნით ესწრებოდნენ აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელისა და ტვ 25 - ის ჟურნალისტები.

დღის წესრიგი გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხები: -

დღის წესრიგი - # 14 (01 ივლისი - 2019 წ / 16 : 00 სთ)

საკითხი 1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში საჯარო ხმის მიცემის პროცედურაზე მონაწილეობის მისაღებად რეკომენდირებული პროექტების (10 პროექტი) ხმის მიცემის პროცედურის შედეგების განხილვა - დადასტურება.

მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე (5 წთ)

მომხსენებელი : აკაკი გვიანიძე - ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტოს მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი (20 წთ)

საკითხი 2. ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილების განხილვა

მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს რათა განეხილათ დღის წესრიგით გათ - ვალისწინებული საკითხები.

საკითხი 1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში საჯარო ხმის მიცემის პროცედურაზე მონაწილეობის მისაღებად რეკომენდირებული პროექტების (10 პროექტი) ხმის მიცემის პროცედურის შედეგების განხილვა - დადასტურება.

მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე (5 წთ)

მომხსენებელი : აკაკი გვიანიძე - ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტოს მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი (20 წთ)

კახაბერ გუჩმანიძემ განაცხადა, რომ საბჭომ მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად საკმაოდ შრომატევადი სამსახური გასწია და საბოლოოდ შეირჩა 10 (ათი) საუკეთესო პროექტი ღია კენჭისყრისათვის.

კახაბერ გუჩმანიძე - „ ვფიქრობ საბჭომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში ობიექტურად შეაფასა წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები და შერჩევის პროცესში სრულად გაითვალისწინა დებულებით განსაზღვრული პარამეტრები. უმთავრესი აქცენტები წარმოდგენილი პროექტები ინოვაციურობაზე, მათ გრძელვადიან ეფექტებზე, გენდერულ ასპექტსა და მუნიციპალურ პოლიტიკასთან შესაბამისობაზე გაკეთდა. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტოს მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსს აკაკი გვიანიძეს, ასევე მუნიპალიტეტის სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელ პირებს, რომლებიც სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩაბმული საბოლოო შეფასების პროცესში. ქალაქისთვის აქამდე უპრეცენდენტო პროექტი განხორციელდა და ბოლომდე ვარ დარწმუნებული აღნიშნული საპილოტე პროექტი სამომავლოდ საუკეთესო კუთხით დაიმკვიდრებს თავს "

კახაბერ გუჩმანიძემ განმეორებით დეტალურად გააცნო საბჭოს და სხდომაზე დამსწრეთ საპროექტო განაცხადების განხილვის შედეგები, დეტალურად აღნიშნა თუ რა მიზეზით არ იქნა გატანილი კენჭისყრაზე პროექტების ნაწილი, რომელ პროექტებს საერთოდ არ დაუჭირეს მხარი საბჭოს წევრებმა, რომელმა პროექტებმა მიიღეს მინიმალური და მაქსიმალური ქულათა რაოდენობა. (აღნიშნული ინფორმაცია დანართის სახით ერთვის მე - 13 ოქმს)

კახაბერ გუჩმანიძემ აცნობა საბჭოს წევრებს რომ იმ სამი პროექტის ავტორები რომლებმაც ღია კენჭისყრაზე ქულათა მაქსიმალური რაოდენობა დააგროვეს დღეს მოწვეულები არიან და ესწრებიან საბჭოს სხდომას, მიესალმება მათ და უპირველესად მადლობას უხდის სამოქალაქო აქტივობისთვის და ულოცავს მათ მიერ ინიცირებული პროექტების კონკურსში გამარჯვებას.

კახაბერ გუჩმანიძე - „ პროექტები : - ,,წარწერა ბათუმზე" , ,,ბათუმის ფრანების ფესტივალი" და ,,ნატვრის ხე" ის სამი გამარჯვებული პროექტია რომელმაც ქულათა მაქსიმალური რაოდენობა დააგროვა ღია კენჭისყრაზე, ვფიქრობ ეს სწორედ ის პროექტებია, რომლებიც განხორციელების შემდგომ ქალაქის სავიზიტო ბარათებად იქცევა, მინდა შემდგომშიც წარმატებები ვუსურვო გამარჯვებული და არამხოლოდ გამარჯვებული პროექტების ავტორებს, საპილოტე პროექტის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი და ბენეფიტი სწორედ მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა იყო"

გამარჯვებული პროექტების ავტორებმა მოითხოვეს სიტყვა და მადლობა გადაუხადეს საბჭოს გაწეული მუშაობისათვის.

კახაბერ გუჩმანიძემ სიტყვა მისცა აკაკი გვიანიძეს რათა წარმოედგინა ინფორმაცია „ მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერის " პროგრამის ფარგლებში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ შერჩეული 10 საპროექტო განაცხადისათვის ელექტრონული ხმის მიცემის პროცედურაზე.

აკაკი გვიანიძემ საბჭოს სხდომაზე წერილობით წარმოადგინა ზემოაღნიშნული ინფორმაცია (ოქმს თან ერთვის).

აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ შერჩეული 10 (ათი) პროექტი ღია კენჭისყრაზე (ელ. ხმის მიცემაზე) შესაბამის პლატფორმაზე განთავსდა მიმდინარე წლის 18 ივნისს 00 : 01 სთ-ზე და ხმის მიცემა დასრულდა მიმდინარე წლის 30

ივნისს 23 : 59 სთ-ზე. ელ. პლატფორმაზე რეგისტრაცია გაიარა 2048 მოქალაქემ, ხოლო კენჭისყრაზე მონაწილეობა მიიღო და სხვადასხვა პროექტებს ხმა მისცა 1369 მოქალაქემ.

კენჭისყრის დასრულების შემდგომ გამოვლინდა 3 (სამი) პროექტი რომელმაც ხმათა მაქსიმალური რაოდენობა დააგროვა : 1. წარწერა ბათუმზე - 357 ხმა, 2. ბათუმის ფრანების ფესტივალი - 336 ხმა და 3. ნატვრის ხე - 287 ხმა.

აკაკი გვიანიძემ წარმოადგინა ხმის მიცემის სრული შედეგები ათივე პროექტისთვის და აღნიშნა, რომ საპილოტე პროექტმა საკმაოდ კარგი გამოხმაურება გამოიწვია ქალაქ ბათუმში და უამრავი აქტიური მოქალაქე გამოავლინა.

აკაკი გვიანიძე - „ დარწმუნებული ვარ შემდეგ წელს მონაწილეთა რაოდენობა მინიმუმ გასამმაგდება, რადგან უამრავი ადამიანი გეგმავს შემდგომში თავისი იდეის განსახორციელებლად განაცხადის მომზადებას, ვფიქრობ პროექტმა დადებითი როლი ითამაშა მუნიციპალური მართვის სისტემაში მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობის კუთხით"

კახაბერ გუჩმანიძემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ კონკურსის, კერძოთ კი ღია კენჭისყრის შედეგები საბჭომ დებულების თანახმად უნდა დაადასტუროს, რასთან დაკავშირებითაც განსახილველად და კენჭისყრაზე დასაყენებლად სხდომას წარუდგენს წერილის პროექტს :

„ ბატონო ლაშა,

მოგეხსენებათ ძიმდინარე წლის 17 ივნისს ქ. ბათუმის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მე - 13 სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო საკითხი: „ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში საპროექტო განაცხადების განხილვა, შერჩევა და გამოვლენა" რაც განსაზღვრულია „მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 05 თებერვლის N 102 - ბრძანების დანართის თანახმად, კერძოთ „ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დადგენილ ვადებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭო მერიის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით ახდენს პროექტების საბოლოო არალიზს და გამოავლენს საუკეთესო განაცხადებს საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებათ " (მუხლი 4.5 / „ა").

ზემოაღნიშნული სხდომის ფარგლებში განხილვას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურების ხელმძღვანელი პირები, მოწვეულ ექსპერტები, სამოქალაქო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ასევე საპროექტო განაცხადების ავტორები. სხდომაზე აქტიური განხილვისა და მსჯელობის შემდგომ გამოვლენილი იქნა 10 (ათი) საუკეთესო პროექტი რომელმაც სარეიტინგო ღია კენჭისყრის შედეგებით ყველაზე მეტი მხარდაჭერა მიიღო საბჭოს მხრიდან და მიეცა რეკომენდაცია საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებათ.

საჯარო ხმის მიცემის პროცედურის დასრულების შემდგომ (18 – 30 ივნისი) გამოვლინდა 3 (სამი) საუკეთესო პროექტი რომელმაც ყველაზე მეტი ხმა დააგროვა, ესენია : 1) წარწერა „ბათუმი" ბათუმგორაზე #20058 – 357 ხმა. 2) ბათუმის ფრანების ფესტივალი # 20064 – 336 ხმა. 3) ნატვრის ხე #20047 – 287 ხმა.

„მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების დანართი 1-ს მუხლი 4.7 „გ" პუნქტის თანახმად

ქ.ბათუმის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ადასტურებს ხმის მიცემის პროცედურის შედეგებს. "

სხდომის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი წერილის პროექტი დადგა ღია კენჭისყრაზე, საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ დაადასტურა მხარდაჭერა.

საკითხი 2. ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილების განხილვა.

მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე

სხდომის თავმჯდომარემ კახაბერ გუჩმანიძემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ მუნიციაპლიტეტის მერიიდა საბჭოს გადმოეგზავნა კორესპონდენციები მათ შორის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 – 2023 წწ-ების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი რომლის ელ. ვარსიაც 2 დღის უკან მიაწოდა მათ და თხოვა შესაძლებლობის ფარგლებში გულდასმით გაეცნონ წარმოდგენილ დოკუმენტს და სურვილის შემთხვევაში უახლოეს სხდომაზე წარმოადგინონ შენიშვნები ან მოსაზრებები ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კახაბერ გუჩმანიძემ ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიიდან საბჭოს გადმოეგზავნა „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი"-ს, „უდანაშაულოთა დაცვის ორგანიზაციის" და საინფორმაციო სააგენტო „რეგიონის ახალი ამბები"-ს ხელმძღვანელთა ერთობლივი კორესპონდენცია სადაც აღნიშნავენ, რომ საბჭოს წევრი ნათია აფხაზავა რომელიც ამავდროულად ა/ო „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის" ბათუმის ოფისის დირექტორია საგრანტო დაფინანსების ფარგლებში სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების საინფორმაციო კამპანიას, ხოლო 10 საუკეთესო პროექტის შერჩევა ევალება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, რის გამოც განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ ნათია აფხაზავას როგორც მხარის შერჩევის პროცესში მონაწილეობა ვერ იქნება პროცესის გამჭირვალობისა და მიუკერძოებლობის გარანტი, რის გამოც მოითხოვდნენ საუკეთესო პროექტების შერჩევამდე მათ მიერ მოყვანილი გარემოება განსახილველად და მოსაზრებების საზოგადოებისათვის გასაცნობათ გადაეგზავნათ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთვის.

კახაბერ გუჩმანიძემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ სხდომა, რომელზეც საბჭოს მიერ 10 საუკეთესო პროექტი რეიტინგული ღია კენჭისყრით იქნა შერჩეული გაიმართა მიმდინარე წლის 17 ივნისს, ხოლო მუნიციპალიტეტის მერიიდან წერილი საბჭოს გადმოეგზავნა 19 ივნისს, სხდომის დასრულებიდან 2 დღის შემდგომ, რის გამოც საბჭო ვერანაერად ვერ იმსჯელებდა განმცხადებელთა მოთხოვნაზე.

კახაბერ გუჩმანიძე - „ ვფიქრობ დროში შეუსაბამობის გამო არ იქნება მიზანშეწონილი ნათია აფხაზავას მიმართ არასამთავრობო ორგანიზაციების პრეტენზიების განხილვა, კორესპონდენცია სხდომამდე, რომ გადმოგზავნილიყო საბჭოში ბუნებრივია ვიმსჯელებდით მასში მოყვანილ გარემოებებზე და საბჭოს თითოეული წევრი სავარაუდოთ დააფიქსირებდა საკუთარ მოსაზრებას, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ წერილი მიმდინარე წლის 11 ივნისითაა დათარიღებული და მოცემულ დროს შევიდა მერიის კანცელარიაში ის მხოლოდ 19 ივნისს გადმოეგზავნა საბჭოს, ანუ პროექტების საბოლოო ანალიზისა და განხილვის დასრულების (17 ივნისი, მე - 13 სხდომა) შემდგომ. "

საბჭოს წევრმა ლაშა ნაკაშიძემ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა მოესმინათ ნათია აფხაზავას მოსაზრებაც წერილში წარმოდგენილ მოსაზრებასთან, გარემოებებთან დაკავშირებით და ასევე გაცნობოდა საბჭოს წერილის პროექტს.

კახაბერ გუჩმანიძე - „ ლაშა ვერ დაგეთანხმები და ვერ გავიზიარებ შენს მოსაზრებას, რადგან როგორც კი წერილი შემოვიდა საბჭოში მივაწოდე ნათია აფხაზავას და ვუთხარი ჩემი როგორც თავმჯდომარის პოზიცია - კორესპონდენცია დროში შეუსაბამოდ გადმოეგზავნა საბჭოს რის გამოც ვერ ვხედავდი მისი განხილვის საჭიროებას. ნათია აფხაზავა ინფორმირებული იყო წერილის არსებობის, ასევე მისი შინაარსის თაობაზე, იცოდა ჩემი, როგორც თავმჯდომარის პოზიციაც, მიუხედავად იმისა, რომ ის დღევანდელ სხდომას არ ესწრება რაიმე კონკრეტული მოსაზრებები რომ ჰქონოდა ამის თაობაზე წერილობით ან თუნდაც სიტყვიერად მაინც აცნობებდა საბჭოს, მითუმეტეს დღის წესრიგისა და სხდომის თარიღზე წინასწარ იყო ინფორმირებული, ასევე წერილი თითოეულ საბჭოს წევრს სხდომამდე რამოდენიმე დღით ადრე დაეგზავნა მაილზე "

საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობამ დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებას და განაცხადეს, რომ ვერ ხედავენ წერილის განხილვის აზრს.

კახაბერ გუჩმანიძე - „ სხვა საკითხია, რამდენად ობიექტურია ის გარემოებები რაც წერილშია მოყვანილი, სხვა საკითხია იკვეთება თუ არა რაიმე ტიპის ინტერესთა კონფლიქტი ან მიკერძოებულობა, ზოგადად მსგავსი გარემოებები მსჯელობის საგანია, ჩვენ ამას არ განვიხილავთ საბჭოს სხდომაზე, რადგან უმეტესობა ვთანხმდებით იმაზე, რომ წერილი რომელიც განსახილველად გადმოგვეგზავნა დროში შეუსაბამოა, რის გამოც აზრი ეკარგება მის განხილვას "

კახაბერ გუჩმანიძემ საბჭოს წარუდგინა წერილის პროექტი გასაცნობათ და განსახილველად :

„ ბატონო ლაშა,

მიმდინარე წლის 19 ივნისს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციიდან წერილობით (N 25 / 13159 19/06/2019) განსახილველად გადმოგვეგზავნა მერიაში მიმდინარე წლის 11 ივნისს შემოსული „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი" ს, „უდანაშაულოთა დაცვის ორგანიზაციის" და საინფორმაციო სააგენტო „რეგიონის ახალი ამბები"-ს ხელმძღვანელთა ერთობლივი კორესპონდენცია (N11355/25) სადაც აღნიშნავენ, რომ საბჭოს წევრი ნათია აფხაზავა რომელიც ამავდროულად ა/ო „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის" ბათუმის ოფისის დირექტორია საგრანტო დაფინანსების ფარგლებში სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების საინფორმაციო კამპანიას, ხოლო დებულების თანახმად მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში მერიის ელ. პლატფორმაზე შესული საპროექტო განაცხადების საბოლოო ანალიზი და 10 საუკეთესო პროექტის შერჩევა შემდგომ ღია კენჭისყრაზე განსათავსებლად ევალება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს.

განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ ნათია აფხაზავას როგორც მონაწილე მხარის შერჩევის პროცესში მონაწილეობა ვერ იქნება პროცესის გამჭირვალობისა და მიუკერძოებლობის გარანტი, რის გამოც მოითხოვდნენ საუკეთესო პროექტების შერჩევამდე მათ მიერ მოყვანილი გარემოება განსახილველად და მოსაზრებების საზოგადოებისათვის გასაცნობათ გადაეგზავნათ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთვის.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გვინდა გაცნობოთ შემდეგი :

განმცხადებელ არასამთავრობო ორგანიზაციათა მიმდინარე წლის 11 ივნისის ერთობლივი წერილი ქ. ბათუმის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად გადმოეგზავნა მიმდინარე წლის 19 ივნისს, ხოლო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხზე : „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში საპროექტო განაცხადების განხილვა, შერჩევა და გამოვლენა " - საბჭომ იმსჯელა მიმდინარე წლის 17 ივნისს მე - 13 სხდომაზე, რის გამოც (დროში შეუსაბამობა) ვერ განხორციელდა ზემოაღნიშნული გარემოების განხილვა და მოსაზრებების წარმოდგენა. "

გაიმართა ღია კენჭისყრა, წარმოდგენილ წერილოს პროექტს მხარი დაუჭირა საბჭოს წევრთა უმრავლესობამ, წინააღმდეგი მხოლოდ - ლაშა ნაკაშიძე.

კახაბერ გუჩმანიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე ტელევიზიებს და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს რის შემდგომაც სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

კახაბერ გუჩმანიძე

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი

მარიამ ბურკენაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ კახაბერ გუჩმანიძეს

ბატონო კახაბერ,

გაცნობებთ, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ შერჩეული 10 საპროექტო განაცხადისთვის ელექტრონული ხმის მიცემის პროცედურა, შესაბამის ელექტრონულ პლატფორმაზე - idea.batumi.ge - ზე დაიწყო 2019 წლის 18 ივნისს 00:01 სთ-ზე და დასრულდა 30 ივნისს 23:59 სთ-ზე.

პლატფორმაზე რეგისტრაცია გაიარა 2048 მოქალაქემ. პროექტებისთვის მიცემული ხმების საერთო რაოდენობაა - 1369 (შედეგებს წარმოგიდგენთ ცხრილის სახით).

N	საპროექტო განაცხადის ნომერი	სათაური	ავტორი	მიღებული ხმების რაოდენობა
1	20058	წარწერა „ ბათუმი " ბათუმგორაზე	თეონა კეშელავა	357
2	20064	ბათუმის ფრანების ფესტივალი	ლაშა კუკულაძე	336
3	20047	ნატვრის ხე	თამთა ჯინჭარაძე	287
4	20032	მწვანე ტურიზმი (1 ტურისტი = 1 ხე)	მარიამ მიქელაძე	170
5	20055	სუპერთევზები	თამარ მიქელაძე	122
6	20051	წერეთლის სკვერის ახალი სიცოცხლე	ლელა კვაჭანტირაძე	23
7	20065	ბათუმი - ველოქალაქი	დავით არძენაძე	21
8	20041	ჭარტი	გაბრიელ ღვინიანიძე	20
9	20037	უფასო ინტერნეტი ცენტრალურ პარკში	ვლადიმერ კუვშინოვი	20
10	20046	ელექტრომობილების დასატენი ობიექტები	ალექსანდრე კალანდაძე	13

შესაბამისად, გამარჯვებული პროექტებია: N 20058 - წარწერა „ბათუმი" ბათუმგორაზე, N20064 - ბათუმის ფრანგების ფესტივალი და ბათუმის და N20047 - ნატვრის ხე.

პატივისცემით,

აკაკი გვიანიძე

ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს"
მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი.

ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

01 ივლისი 2019, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(მრჩეველთა საბჭოს წევრები)

#	Name სახელი, გვარი	პოზიცია	Signature ხელმოწერა
1.	კახაბერ გუჩმანიძე	თავმჯდომარე	
2.	თამაზ თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3.	მარიამ ბურკენაძე	მდივანი	მ. ბურკენაძე
4.	მაყვალა კვირიკაძე	წევრი	მ. კვირიკაძე
5.	ნინო ინაიშვილი	წევრი	
6.	თამარ ხუხუნაიშვილი	წევრი	თ. ხუხუნაიშვილი
7.	ნათია აფხაზავა	წევრი	
8.	ზურაბ ჩიხლაძე	წევრი	
9.	გურამ ფუტკარაძე	წევრი	
10.	ლაშა ნაკაშიძე	წევრი	
11.	თემურ კაკაბაძე	წევრი	

ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

01 ივლისი 2019, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(სხდომაზე დამსწრე საბჭოს არაწევრი პირები)

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ-ფოსტა	Signature ხელმოწერა
1.	ანა გვიანიძე	ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო	577 30 20 26 a.gvianidze@gmail.com	[signature]
2.	სოფიკო მეფარიშვილი	ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო	555-04-04-11 s.meparishvili@batumi.GE	[signature]
3.	გია ფათენაძე	ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო	577 95 18 89 fatenadzeee@Gmail.com	[signature]
4.	ლაშა კუკულაძე	ა(ა)იპ "ქალაქიში"	597 103 309 kukuladze.lasha@Gmail.com	[signature]
5.	ნატა იმნაიშვილი	გაზეთი "[illegible]"	595 077 636 natia_imnaishvili@ciu.edu.ge	[signature]

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
6.	[illegible]	USAID	[illegible]	[illegible]
7.	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
8.	[illegible]	CSI [illegible]	[illegible]	[illegible]
9.	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
10.	[illegible]	[illegible]	sopogotua@gmail.com	[illegible]
11.				
12.				
13.				
14.				